სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N02

ზუგდიდი, ერგეტა **22 მარტი 2021 წ.**

სხდომის დაწყების დრო: 15:30 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ სამეურვეო საბჭოს შემდეგი წევრები:

1. ლელა წურწუმია - სამეურვეო საბჭოს წევრი - მასწავლებელი;
2. მაია დადიანი - სამეურვეო საბჭოს წევრი - მასწავლებელი;
3. მაია მირგატია - სამეურვეო საბჭოს წევრი - მასწავლებელი;
4. მაია ესართია - სამეურვეო საბჭოს წევრი - I საფეხურის მშობელი;
5. მთვარისა გუნჯუა - სამეურვეო საბჭოს წევრი - II საფეხურის მშობელი;
6. ეთერ გვასალია - სამეურვეო საბჭოს წევრი - III საფეხურის მშობელი;
7. ბექა იზორია - მოსწავლეთა თვითმართველობის თავმჯდომარე;

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის დირექტორი - **აკაკი როგავა;**
დირექტორის მოადგილე - **თეა გოგია;**
სკოლის ბურალტერი - **მარგალიტა ნაჭყებია.**

სხდომას თავმჯდომარე - მთვარისა გუნჯუა;
სხდომის მდივანი - ლელა წურწუმია.

დღის წესრიგი:

1. სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის 233 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემის საკითხის განხილვა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს:

კენჭისყრის შედეგები:

1. მომხრე-7.
2. წინააღმდეგი-0.
3. თავი შეიკავა-0.

დაადგინეს:
დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

საკითხი: სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის 233 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემის საკითხის განხილვა.

მომხსენებელი: სკოლის დირექტორი აკაკი როგავა

მოისმინეს: სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის დირექტორის ბატონი აკაკი როგავას მოხსენება, სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის 233 კვ.მ. ფართის სარგებლობაში მესამე პირისათვის გადაცემის შესახებ. მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საჯარო სკოლების მიერ სკოლის სარგებლობაში არსებული ფართის მესამე პირისთვის გადასაცემად ყველაზე მისაღები ფორმა ფართის იჯარით გაცემაა. რისთვისაც უპირველეს ყოვლისა, საჭიროა სამეურვეო საბჭოს თანხმობა. სკოლის განვითარებისა და დამატებითი სახსრების მოსაზიდად კარგი იქნება სკოლის სპორტული დარბაზის 233 კვ.მ. ფართის იჯარით გაცემა, ნებადართული საქმიანობის ნუსხით (დანართი N1) ფუნქციონირების მიზნით ერთი წლის ვადით.
სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის დირექტორმა ბატონმა აკაკი როგავამ დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ საჯარო სკოლის მიერ სკოლის სარგებლობაში არსებული ფართის მესამე პირისთვის გადაცემის შემთხვევაში, საჭიროა სკოლაში განსაზღვრული იყოს იმ ნებადართული საქმიანობის ჩამონათვალი, რომელთა განხორციელება იჯარის ფორმით ფართის სარგებლობაში მიღების შემდეგ შეეძლება მოიჯარეს.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა: სკოლის დირექტორის მოადგილემ თეა გოგიამ, მან ბრძანა, რომ ქართული ცეკვების წრე გააძლიერებს ქართული ცეკვების განათლების მიღებას და კულტურის განვითარებას სკოლაში, ხოლო ნებადართული საქმიანობის ნუსხის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნას იჯარით გასაცემი ფართის სპეციფიკა.
სპორტული დარბაზის იჯარით გაცემის შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი დანიშნულების გამიჯვნა (სასწავლო დღეებში საგაკვეთილო პროცესის დამთავრების შემდეგ: 15:00 საათიდან იფუნქციონიროს წრემ, ხოლო არასასწავლო დღეებში ნებისმიერ დროს) სხვადასხვა წრის ფუნქციონირებისათვის.

აღნიშნულ საკითხზე აზრი გამოთქვა: სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ მთვარისა გუნჯუამ, მან ბრძანა, რომ იჯარით ფართის გადაცემა გაზრდის სკოლის ბიუჯეტს.
სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მოუწოდა კენჭი ეყარათ წარმოდგენილი საკითხისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

1. მომხრე - 7.
2. წინააღმდეგი - 0.
3. თავი შეიკავა - 0.

კენჭისყრის შედეგად დაადგინეს:

სამეურვეო საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის 233 კვ.მ ფართის იჯარი გაიცეს ნებადართული საქმიანობის ნუსხით (დანართი N1-თი) გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად ერთი წლის ვადით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დასრულების დრო: 16:05 წთ.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე: მ. გუნჯუა /მთვარისა გუნჯუა/

სამეურვეო საბჭოს მდივანი: ლ. წურწუმია /ლელა წურწუმია/

დანართი N1.

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლა

ნებადართული საქმიანობის ნუსხა

(სპორტული დარბაზის იჯარით გაცემა)

№	დასახელება	კვირის შემდეგი დღეები	შენიშვნა
1	ქართული ცეკვების წრე	ორშაბათი; სამშაბათი; ოთხშაბათი; ხუთშაბათი; პარასკევი; შაბათი; კვირა.	
2	უცხოური ცეკვების წრე		
3	ფეხბურთის წრე		
4	რაგბის წრე		
5	სპორტული წრე		

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეტის საჯარო სკოლის

დირექტორი: /აკაკი როგავა/